განკარგულება:**g-47. 47230877**
თარიღი:**28/03/2023**

განკარგულება N17

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61 - მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. ცვლილება შევიდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე“ N49 განკარგულებაში და მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) ქუჩას, მასთან არსებულ 2 შესახვევს და 1 ჩიხს მიენიჭოს ანა კალანდაძის სახელი თანდართული ორთოფოტოს შესაბამისად“.

2. ცვლილება შევიდეს განკარგულების თანდართულ ორთოფოტოში და შეიცვალოს ახალი ორთოფოტოს თანდართული რედაქციით.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4.განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი